პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 დეკემბერი, კვირა, 1989 წ.
№ 231 (10 150) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## საქართველოს სპორტსახკომში

რესპუბლიკის სპორტულ მოძრაობაში სიახლეთა ძიება გრძელდება. პირველი სერიოზული ნაბიჯები ამ მიმართებით ამ რამდენიმე წლის წინ გადაიდგა. თითქმის ყველა ექსპერიმენტმა გაამართლა, მათ შორის მძლეოსნობაში გაერთიანების შექმნამ. გაერთიანებამ ერთმმართველობაში და მიზნობრივ კალაპოტში მოაქცია ყველაფერი, რაც რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებასთან არის დაკავშირებული. კოლეგიის სხდომაზე ფაქტობრივად მძლეოსნების ახალი „შტაბის“ მიერ რამდენიმე თვეში გაწეული მუშაობის ავ-კარგი შეაჯამეს. შედეგების მიხედვით უნდა გამოეტანათ დასკვნა გაამართლა თუ არა სიახლემ.

სამმართველოს უფროსმა თ. მდინარაძემ ამომწურავად გააანალიზა ექსპერიმენტის ყველა დადებითი და უარყოფითი მხარე. სპორტის ამ სახეობაში ჯერ ხელშესახები ხარისხობრივი ძვრები არ მომხდარა და ალბათ, რამდენიმე თვეში ვერც მოხდებოდა. კოლეგიამ ესეც გაითვალისწინა, თუმცა, მძლეოსნობაში საერთო მდგომარეობა შეაფასა არადამაკმაყოფილებლად და გაერთიანებას დაუსახა ნაკლოვანებების დაძლევის კონკრეტული გზები.

იმავე სხდომის დღის წესრიგში იდგა კიდევ ერთი სიახლის საკითხი — ძიდაობის სახეობების გამაერთიანებელი სამეურნეო რგოლის შექმნის შესახებ. გამოითქვა მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებით სპეციალისტები განსაზღვრავენ მომავალი კოორდინატორის სტატუსს, შემდეგ კი კოლეგია მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

ლანჩხუთის რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის მდგომარეობის განხილვისას ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად საქმიანობის ერთგვარი გააქტიურებისა, აქ სრულიად არ იყენებენ ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების ეფექტურ ფორმებსა და საშუალებებს. დომინირებს ფეხბურთი, ეს მისასალმებელია, მაგრამ დანარჩენი?.. კოლეგიაზე ითქვა: ყველაფერი შედარებითია, აი სხვა რაიონების ფონზე, რომლებიც განსაკუთრებით არაფრით გამოირჩევიან, ლანჩხუთში იგრძნობა ყოვლად გაუმართლებელი ინერტულობა, საიდანაც დასკვნები უნდა გააკეთონ ფიზკულტურულმა და სპორტულმა ორგანიზაციებმა. გამოითქვა იმედი, რომ რაიონის ხელმძღვანელობა სერიოზულად გაერკვევა დარგში მუშაობის გარდაქმნის საკვანძო საკითხებში.

შემდეგ ანალოგიურ საკითხზე მოისმინეს თერჯოლის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის ვ. გოგიაშვილის ანგარიში. ლანჩხუთისგან განსხვავებით აქ სულ სხვა სურათი გამოიკვეთა. ითქვა, რომ აშკარად შეიცვალა რაიონის ხელმძღვანელების დამოკიდებულება დარგისადმი, რამაც გამოაცოცხლა მუშაობა ყველა რგოლში. აღინიშნა ნაკლოვანებებიც, განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ადრე მიღებული დადგენილებების და გადაწყვეტილებების დროულად შესრულების აუცილებლობაზე. ინსტანციურად მოსაგვარებელ პრობლემურ საკითხებში გარკვევა და პრაქტიკული დახმარების გაწევა დაევალა რესპუბლიკის სპორტსახკომის შესაბამის სამსახურებს.

სპორტსახკომის კოლეგია ბოლო ხანებში ყოველ სხდომაზე განიხილავს რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე სანიტარული მდგომარეობის საკითხს. ამჯამად მოისმინეს ინფორმაცია გორსა და თელავში არსებული მდგომარეობის შესახებ.

სხდომამ სათათბირო წესით განიხილა სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი.

## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

სპორტულ ჟურნალისტთა რესპუბლიკური ფედერაცია ორშაბათს, 4 დეკემბერს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირში (ლენინის 14) აწყობს პრესკონფერენციას თემაზე: „რესპუბლიკის სპორტული მოძრაობის სიახლეები: რეალობა და ძიების გზები“.

ჟურნალისტების წინაშე წარსდგება საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ენდელაძე.

პრესკონფერენცია 17 საათზე დაიწყება.

თბილისის პირველი საერთაშორისო ტურნირი მინიფეხბურთში

## „მიხეილ მესხი-89“

სახელოვანი ქართველი ფეხბურთელის, სპორტის დამსახურებული ოსტატის მიხეილ მესხისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის საზეიმო გახსნისათვის თითქოს ყველაფერი მზად იყო. იგვიანებდა მხოლოდ შეჯიბრების მონაწილე სამი გუნდი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ნაკრები, აგრეთვე მოსკოვის „დინამო“. ამიტომ ტურნირის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს საზეიმო გახსნა მეორე დღისთვის გადაეტანათ.

...სპორტის სასახლის თაღებქვეშ ფეხბურთის მარშის ნაცნობი ჰანგები გაისმის. უზარმაზარ კინოეკრანზე მიხეილ მესხის მატჩების ფრაგმენტები ცოცხლდება, აი ისიც, სახელგანთქმული ფორვარდის ტრადიციული „საფირმო ფინტი“. დარბაზში შუქი ითება და ფეხბურთის მოყვარულები ახლა უკვე უშუალოდ მიესალმებიან ზეიმის გმირს. სარბიელზე პროჟექტორების შუქზე ბზვინვარე თეთრი ფერის ავტომანქანა „ვოლგა“ შემოდის. საორგანიზაციო კომიტეტის გადაწყვეტილებით იგი საჩუქრად გადაეცემა მიხეილ მესხს...

ტურნირში მონაწილე რვავე გუნდი (წინალამეს დანარჩენი სამი გუნდიც ჩამოვიდა თბილისში) შემოდის სარბიელზე. რამდენიმე წუთის შემდეგ ზაარბრიუკენისა და მოსკოვის „დინამოს“ მატჩით დაიწყო მეორე დღის ასპარეზობა. მაგრამ ჯერ პირველი ტურის თამაშებზე ვისაუბროთ.

დიქტორს, რომ იტყვიან, ჯერ გუნდების [illegible] განცხადება არ ჰქონდა დამთავრებული, როდესაც თბილისის „დინამოს“ ვეტერანთა გუნდის კაპიტანმა ალექსანდრე ჩივაძემ უმლიერესად დაარტყა შორიდან მეტოქის — დასავლეთ ბერლინის ნაკრების კარში. ბურთი ოდნავ ასცდა მიზანს, მაგრამ, ალბათ, ყველას აგრძნობინა, რომ ძველი დინამოელები სასახლეში „სახუმრად“ არ მოსულან. კაპიტანს მხარი აუბეს მანუჩარ მაჩაიძემ, რამაზ შენგელიამ, თენგიზ სულაქველიძემ, თამაზ კოსტავამ — კარს კი საიმედოდ იცავდა დავით გოგია.

იხ. გვ. 2-3 გვ.



ანონსი

## მივმეთ მრგვალ მაგიდასთან

### თემა: რატომ ფერხდება რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსების (ფგკ) მშენებლობა?

ამ საქმეში ჯერჯერობით თავმოსაწონი ნამდვილად არაფერი გვაქვს. სხვა რესპუბლიკებში კი ასეთი კომპლექსები უკვე აქტიურად მუშაობს, მომსახურების საინტერესო ფორმებს სთავაზობენ მოსახლეობის ფართო ფენებს. ჩვენთან კი გამაჯანსაღებელი მიმართულების ფიზკულტურასა და სპორტში სხვადასხვა ასაკის ადამიანების მასობრივად ჩაბმის რეალური საფუძვლები დღემდე არ გაგვაჩნია. ჩამორჩენას, ცხადია, აქვს მიზეზები. რამდენად ობიექტური და მისაღებია ეს მიზეზები, რა უნდა ვიღონოთ მდგომარეობის გამოსასწორებლად? საქართველოს სპორტსახკომისა და „ლელოს“ რედაქციის თაოსნობით მრგვალ მაგიდასთან მოწვეულთაგან სწორედ ამ საკითხებზე უნდა მივიღოთ ამომწურავი პასუხი.

სასაუბროდ ვიწვევთ ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის წარმომადგენელს. საუბარი გაიმართება „ლელოს“ რედაქციაში, სამშაბათს, 5 დეკემბერს, 15 საათზე.

## კიეველები შინ ითამაშებენ

6 დეკემბერს გაიმართება უეფა-ს თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი კიევის „დინამოსა“ და იტალიის „ფიორენტინას“ ფეხბურთელთა შორის.

კიევის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ პირველი შეხვედრის შემდეგ, რომელიც იტალიის ქალაქ პერუჯაში შედგა, განაცხადა, რომ თუ უკრაინის დედაქალაქში ცუდი ამინდი იქნება, კიეველები მზად არიან თბილისის „დინამოს“ სტადიონზე შეხვდნენ მეტოქეს. მაგრამ კიევში ახლა კარგი ამინდი დგას, 100-ათასიანი რესპუბლიკური სტადიონი სრულ წესრიგშია, სათამაშო მინდორი სპეციალური საფარითაა დაცული, ორშაბათიდან მას გაათბობს საავიაციო კალორიფერები, რის შემდეგაც სარბიელი საუკეთესო მდგომარეობაში იქნება. ამიტომაც აქ უკვე დაიწყო მომავალი მატჩის ბილეთების გაყიდვა.

## პროტესტზე უარი უთხრეს

II ლიგის ფეხბურთელთა ზონებში გამარჯვებული გუნდების ფინალურ ტურნირში, რომელიც I ლიგაში გადასვლის უფლებას იძლეოდა, ფერღანის „ნეფტიანიკის“ ხელმძღვანელობამ პროტესტი შეიტანა სოხუმის დინამოელებთან მატჩების თაობაზე იმ მოტივით, რომ მსაჯები ს. ჰუსაინოვი და ს. სლივა „ნეფტიანიკის“ საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ იმსჯელა ფერღანელთა პროტესტზე და, იხელმძღვანელა რა საკავშირო გათამაშების დებულების კონკრეტული პუნქტებით, „ნეფტიანიკს“ უარი უთხრა პროტესტზე.

ამის შემდეგ პროტესტი განიხილა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა და მანაც უარი უთხრა ფერღანის „ნეფტიანიკს“. დაუსაბუთებლად მიიჩნია პროტესტი.

რაც შეეხება ს. ჰუსაინოვსა და ს. სლივას, მათ შესახებ იმსჯელებს მსაჯთა საკავშირო კოლეგიის პრეზიდიუმი.

## თითქმის დაეწია

ზედიზედ ხუთი ტურია ქეთევან კახიანის შეჩერება შეუძლებელი ხდება. ყოველი ტურის შემდეგ სულ უფრო და უფრო მცირდება სხვაობა ქართველი მოჭადრაკის მიერ მოგროვილ ქულებსა და ლიდერთა „ნადავლს“ შორის, ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა 49-ე ჩემპიონატის დამთავრებამდე, სულ რაღაც ოთხი ტურია დარჩენილი და საპრიზო სამეულში დამკვიდრება თითქოს დიდ სიძნელეს აღარ უნდა წარმოადგენდეს თბილისელი საერთაშორისო ოსტატისთვის. კახიანი ახლა ნახევარი ქულითღა ჩამორჩება ლიდერებს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რა წარუმატებლად აიღო მან სტარტი ამ შეჯიბრებაში, შუა ტურნირში ასეთი ტრიუმფი გმირობის ტოლფასია. 5 შესაძლებლიდან 4,5 ქულა! ეს შედეგი ჯერჯერობით საუკეთესოა ჩემპიონატში.

კახიანს წინ ორი ურთულესი შეხვედრა აქვს ლიდერებთან — ზოია ლელჩუკ-პოპოვასა და ირინა ჩიოლუშკინასთან. საჭიროა მაქსიმალური მობილიზება, ყურადღება, უზუსტესი თამაში და ვფიქრობთ, საწადელსაც მიაღწევს. ახლა ყველაფერი ალბათ თვით სპორტსმენზეა დამოკიდებული. მაშ ასე, დარჩა „ფინიშის სწორი“ — „ვინ გაასწრებს“? ჩვენ მაინც იმედიანად უნდა ვიყოთ. იქნებ ქეთევანმა არც ამჯერად გაგვაწბილოს, მით უფრო, ქართველმა მოჭადრაკემ საკუთარ თამაშს უკვე „მიაგნო“.

XIII ტურში კახიანი რენატა დომკუტეს ხვდებოდა. გათამაშდა ძველინდური დაცვა. შიაულიაიელმა ოსტატობის კანდიდატმა პაიკი შესწირა ქართველ მოჭადრაკეს. კახიანმა მიიღო „ძღვენი“, მაგრამ ფიგურების განვითარებაში ჩამორჩა მეტოქეს. დომკუტე ბევრს ფიქრობდა, თუმცა თამაშის სწორი გეგმა მაინც ვერ მონახა. მან ნელნელა გაცვალა ფიგურები, ხოლო როცა დაფიდან ლაზიერებიც გაქრა, კახიანს ზედმეტი გამსვლელი პაიკი აღმოაჩნდა. დომკუტემ მთელი ყურადღება ამ პაიკის შეჩერებაზე გადაიტანა, მაგრამ საშამათო ქსელში აღმოჩნდა, მეტოქის ეტლმა და მხედარმა რომ „მოუმზადეს“. რაღა თქმა უნდა, დომკუტემ საათი გააჩერა.

ამ ტურში აღსანიშნავია შეჯიბრების ერთ-ერთი ლიდერის გულნარა სახატოვას მარცხი. ზედიზედ 4 გამარჯვების შემდეგ მან თეთრი ფიგურებით დათმო ბრძოლა ელენა ხარკოვასთან. ნახევარი ქულა დაკარგა კიდევ ერთმა ლიდერმა ლელჩუკმა. იგი მარინა შერემეტიევას დაუზავდა. ტურნირის მესამე ლიდერმა აინურ სოფიევამ დაასლოებით თანაბარ პოზიციაში გადადო პარტია ანდა შაფრანსკასთან.

XIII ტურის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: ჩიოლუშკინა — ნეპეინა 1:0, სემიონოვა — დიომინა 0,5:0,5, სიტნიკოვა — კოზლოვსკაია 0,5:0,5, უსკოვა-პრუდნიკოვა 1:0, ველიხანლი — უმანსკაია 0,5:0,5.

გუშინ, საღამოს მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. დღეს კი დასვენების დღეა.

აი, როგორ გამოიყურება სატურნირო ცხრილი დასკვნითი ტურების წინ: ზოია ლელჩუკ-პოპოვა, ირინა ჩიოლუშკინა — 8,5-8,5 ქულა, აინურ სოფიევა — 8 (1), ქეთევან კახიანი, იულია დიომინა, გულნარა სახატოვა — 8-8, ნინა სიტნიკოვა — 7,5, ლიდია სემიონოვა — 7 (2), მარინა შერემეტიევა — 6,5, ვალენტინა კოზლოვსკაია — 6 (1), მარია ნეპეინა — 6, ელენა ხარკოვა, ფლორა უსკოვა — 5,5-5,5, ფირუზა ველიხანლი — 5 (1), სვეტლანა პრუდნიკოვა — 4,5 (1), ანდა შაფრანსკა, ირინა უმანსკაია — 3,5-3,5 (1-1), რენატა დომკუტე — 3,5.

„ლელოს“ კორ.

# „მიხეილ მესხი-89“



„მიხეილ მესხი-89“

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მერთი „ფინტის“ მსახმე...

ყოველ ჩვენგანს (ფეხბურთის მოყვარულს) პრესის ფურცლებზე მრავალი ფოტომომენტი გვინახავს: ვირტუოზულიც, ორიგინალურიც, სასოწარკვეთილიც, კრიტიკულიც, უხეშიც... ცალკე „ჟანრად“ გამოვყოფთ მხიარულ საფეხბურთო ფოტოკადრებს. მაგრამ იმის მსგავსი რამ, შესანიშნავი ფოტოხელოვანის გურამ თიკანაძის ობიექტივმა რომ „ჩაავლო“, სხვა არ შეგვხვედრია.

სასაცილო მდგომარეობაში ჩავარდნილი მიხეილ მესხის ოპონენტი, ამ საკმაოდ გავრცელებულ ფოტოსურათზე წლების განმავლობაში მოსკოველი არმიელი ანატოლი კრუტიკოვი გვეგონა (მიუხედავად იმისა, რომ იგი მესხის ფრთაზე არ თამაშობდა), მაგრამ...

სინამდვილე მ. მესხის პრიზის გათამაშების დღეებში თვით მ. მესხისაგან შევიტყვეთ:

— ეს სურათი, თუ არ ვცდები, 1958 წლის სეზონის პირველ წრეშია გადაღებული თბილისში, „ბურევესტნიკის“ სტადიონზე, — გვითხრა მ. მესხმა. — იგი ჩვენს დაუვიწყარ ქართველ ვაჟკაცს გურამ თიკანაძეს ეკუთვნის. აქ ანატოლი კრუტიკოვი არაა, აქ სხვა ანატოლია — სპარტაკელთა თავდამსხმელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ანატოლი ისაევი, მელბურნის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი. მართალია, იგი ჩემი მეურვე არ გახლდათ, თვითონაც თავდამსხმელი იყო, მაგრამ ალბათ, როცა ნახა სპარტაკელთა მცველებს რომ უჭირდათ, გადაწყვიტა დახმარებოდა მათ, მომენტში ჯიქურ წამოვიდა ჩემსკენ, ბურთი მე მქონდა, ისაევი მთელი სისწრაფით მორბოდა, მკვეთრად მოიქნია ფეხი, და მოულოდნელად ძალზე სასაცილო, რაღაც უნახავი კულბიტი დაატრიალა ჰაერში. მეორე წამს უკვე ახალი ბრძოლისაკენ ვემზადებოდი ჩემსკენ წამოსული სხვა სპარტაკელის წინააღმდეგ, ეს ფინტიც წარმატებით შევასრულე, მაგრამ, ვფიქრობ, ამ დღეს ყველაზე დიდებული და ორიგინალური „ფინტი“ ჩაატარა გურამ თიკანაძემ, რომელმაც სამუდამოდ აღბეჭდა ეს მომენტი.

## ორი „პენალტისტი“



ეს სურათი პირველად ედიშერ ყიფიანის წიგნში „ბურთი და მოედანი“ დაიბეჭდა 1954 წელს.

ფოტო გადაღებულია ლენინის სახელობის ძველ სტადიონზე, ნინოშვილისა და კონსტიტუციის ქუჩების გადაკვეთაზე რომ მდებარეობს. იქ მაშინ მოთავსებული იყო განთქმული 35-ე სკოლა, რომელმაც დიდ ქართულ ფეხბურთს შესანიშნავი ოსტატები აღუზარდა — შოთა იამანიძე, სერგო კოტრიკაძე, ავთანდილ ჭკუასელი, ზაურ კალოევი, არჩილ კილაძე...

ახლა მწვრთნელებს არ იკითხავთ? გაიოზ ჯეჯელავა, არჩილ კიკნაძე, ვიქტორ პანიუკოვი, სპარტაკ ჯეჯელავა, მიხეილ ბერძენიშვილი.

სწორედ მიხეილ ბერძენიშვილი, 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმების უბადლო შემსრულებელი და 35-ე სკოლის ნორჩი ფეხბურთელები არიან გამოსახული ამ ფოტოსურათზე. ეტყობა, თავად ფოტორეპორტიორსაც და წიგნის ავტორსაც მაშინ არაფერს ეუბნებოდა ბურთისთვის დასარტყმელად შემზადებული პატარა ბიჭი, თორემ დანარჩენი ექვსი ფეხბურთელისა არ ვიცით და ის იმას, ესოდენ ცბიერად რომ შესცქერის თვალებში ამ კადრში სავარაუდო მეკარეს, ალბათ გვარით მოიხსენიებდა. არ ვიცით, გაიტანა თუ არა პატარა პენალტისტმა ის ბურთი, მაგრამ მერე რომ იგი მეკარეთა და მცველთა ნამდვილ რისხვად იქცა, ეს ყველამ კარგად იცის.

## „დიდი ურუგვაელი“ ურუგვაელებმა გააცილეს...

არ ვიცით პირველმა ვინ შეარქვა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს „დიდი ურუგვაელები“ (ამ ქვეყნის გუნდი ხომ მსოფლიოს პირველი ჩემპიონი იყო 1930 წელს). ასეა თუ ისე, „დიდი ურუგვაელების“ ღირსეული მემკვიდრე მიხეილ მესხი მწვანე მინდვრიდან სწორედ ურუგვაელმა ფეხბურთელებმა გააცილეს.

...1969 წლის 16 ივლისი, თბილისი, „ლოკომოტივის“ სტადიონი, საერთაშორისო მატჩი „დინამო“ (თბილისი) — „ნასიონალი“ (მონტევიდეო, ურუგვაი). თბილისელთა მარცხენა გარემარბი, სპორტის დამსახურებული ოსტატი მიხეილ მესხი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო მშობლიური კლუბის თუ ქვეყნის მთავარი გუნდისთვის, ეთხოვებოდა დიდ ფეხბურთს. მან იმ დღესაც შესანიშნავად ითამაშა, ისევე როგორც ადრე ამავე სტადიონზე ბრაზილიის „ბაიას“ გუნდის წინააღმდეგ.

მაყურებლებით სავსე ტრიბუნები აღტაცებული ტაშით შეხვდნენ თავიანთი კერპის ბრწყინვალე ფინტებს და გარღვევებს.

და აი, საყვარელი ფეხბურთელი სტოვებს მწვანე მინდორს, ეთხოვება თანაგუნდელებს, აღელვებულმა დინამოელებმა ხელში აიტაცეს მესხი, მერე მათ ურუგვაელებიც შეეშველნენ. ცოტა არ იყოს, უკვირდათ სტუმრებს: „რა ჰქირს ამ მოთამაშეს გასაცილებელიო? ყოველ შემთხვევაში, ჩვენთან ასეთ ფეხბურთელებს არ აცილებენ!“

ეს ფოტოსურათი, რომლის ავტორია მიხეილ ზარგარიანი, სწორედ იმ ამაღელვებელ წუთებშია გადაღებული.

**ოთარ ოთარაშვილი.**

(დასასრული)

თამაშის მეორე წუთზე მანუჩარ მაჩაიძემ გახსნა ანგარიში — ტურნირის პირველი გოლი გაიტანა. მალე ვახტანგ კოპალეიშვილმა და ლევან ნოდიამ (ისინი გოჩა მაჩაიძესთან ერთად გამოვიდნენ მოედანზე) სამამდე აიყვანეს ანგარიში, ტაიმის ბოლოს (შეგახსენებთ, რომ იგი სულ 15 წუთს გრძელდება) ელექტროტაბლოზე 4:0 დაიწერა — გოლი შენგელიამ გაიტანა.

შესვენების შემდეგ სულაქველიძემ, კოპალეიშვილმა, ლ. ნოდიამ შვიდამდე გაზარდეს ანგარიში. დარჩენილ დროში ქორიძემ მიაღწია წარმატებას, რასაც სტუმრებმა ორი ბურთით უპასუხეს. 8:2 — თბილისის „დინამომ“ პირველი, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

ამ დღეს ჩვენს ფეხბურთელებს „იძულებული კალენდრის“ წყალობით მეორე შეხვედრის ჩატარებამაც მოუწია, ამჯერად თურქეთის გუნდთან. გოლები ისე უხვად გადიოდა მეტოქის კარში, რომ ჟურნალისტები ძლივსღა ასწრებდნენ ფიქსაციას. ვიღაცამ იხუმრა, ყველა გვარი რომ ჩამოვთვალო, ბლოკნოტი ტელეფონის წიგნს დაემსგავსებაო! ამიტომ ჩვენც ხელს ვიღებთ განზრახვაზე, მით უფრო, რომ თბილისელებმა თურქ ფეხბურთელთა კარში გაიტანეს, არც მეტი, არც ნაკლები, 14 „მშრალი“ ბურთი. ჩანს ასე ხდება, როდესაც ფეხბურთელები... კალათბურთის მოედანზე თამაშობენ. ალბათ, ამ მატჩის თაობაზე კიდევ ორი „შტრიხი“ უნდა დავამატოთ, სახელდობრ ის, რომ მეორე ტაიმში (პირველი ნახევარი მოვიგეთ 5:0) ჩვენს კარს რამაზ ურუშაძე იცავდა, ხოლო უკანასკნელი „გადამწყვეტი“ გოლი გაიტანა რევაზ ჩელებაძემ (№ 13).

ზაარბრიუკენისა და ერევნის „არარატის“ მატჩი, რომელსაც საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, სოხუმელი ანატოლი მილჩენკო მსაჯობდა, ერევნელთა (მოთამაშე მწვრთნელი (ონიკ აბრამიანი) იერიშებით დაიწყო. ედუარდ არუთინიანმა და ნაზარ პეტროსიანმა ორი ბურთი გაიტანეს. ზაარბრიუკენელებმა გაათანაბრეს ანგარიში და მალე დაწინაურდნენ კიდეც — 3:2. შეხვედრის მიწურულში ერევნელებმა მაინც მოახერხეს ანგარიშის გაქვითვა — 3:3.

ბოლოს თურქეთისა და დასავლეთ ბერლინის გუნდები დადგნენ ერთმანეთის პირისპირ. თურქებმა ამ დღეს ეს მატჩიც წააგეს (0:3) და გათამაშების თავისებური აუტსაიდერები გახდნენ.

გუშინ სპორტის სასახლეში მორიგი მატჩები გაიმართა. მოგვყავს მათი შედეგები: ზაარბრიუკენი — „დინამო“ მოსკოვი — 3:6; „არარატი“ — გდრ — 4:2; სსრ კავშირი — თურქეთი — 10:1; გდრ — „დინამო“ მ. — 2:2; დასავლეთ ბერლინი — სსრ კავშირი — 1:4, ზაარბრიუკენი — გდრ — 4:2, „არარატი“ — „დინამო“ მ. — 1:3.

დღეს, 15 საათიდან გაიმართება გადამწყვეტი მატჩები — I, III, V და VII ადგილებისათვის, აგრეთვე ამხანაგური შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ 1964 წლის შემადგენლობებს შორის, ახალგაზრდული გუნდების, მსახიობთა და გულშემატკივართა მატჩი, ბედნიერი ლატარიის გათამაშება. დღესვე, საღამოს გამარჯვებულებს და ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებს ჯილდოებს გადასცემენ და შეჯიბრება დამთავრდება.

**ოთარ ნოზაძე.**



ეს შარჟები გამოჩენილ ქართველ ფეხბურთელს მიხეილ მესხს თავის დროზე უძღვნეს ცნობილმა კარიკატურისტებმა — **გიგლა ფირცხალავამ** (ნახატი მარცხნივ) და მოსკოველმა **იგორ სოკოლოვმა**.



ფოტორეპორტაჟი ყველა ეპიზოდი ერთნაირად [illegible]



ორი მესხი — 18 წლის მიშა და 52 წლის მიხეილი. თენგიზ სულაქველიძე, ალექსანდრე ჩივაძე და მანუჩარ მაჩაიძე უტევენ მეტოქის კარს.



კახი ასათიანი (მარცხნივ) ტურნირის სტუმრებთან; იწყება ზაარბრიუკენისა და „არარატის“ მატჩი; შეტევაზეა ლევან ნოდია.



ვინ დაარტყამს კარში; [illegible] „[illegible]“ კარს კვლავ დაიცავს [illegible]; „ორი კაპიტანი“.



რამაზ შენგელია თავის სტიქ[illegible]; გაცნობა რევაზ ჩელებაძესთან; მ. მესხი და თურქეთის ნაკრები — სამახსოვრო სურათი. **ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტორეპორტაჟი.**

## სიტყვა სპეციალისტებს:

**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი ალექსანდრე კოტრიკაძე:**

— **მიშა** მესხი დიდი ფეხბურთელიც იყო და უსაყვარლესი ადამიანიც არის. ბევრი ცდილობდა მის მიბაძვას, „მესხის ფინტსაც“ სწავლობდა საგანგებოდ, მაგრამ ამაოდ. თავისთავად მიბაძვა, რა თქმა უნდა, კარგი საქმეა, მაგრამ ამ შემთხვევაში ცოტა არ იყოს, ძნელია. ტრიბუნებზე ბევრ ძველ ნაცნობს შევხვდი, თითქმის ყველა თაობისას — 25 წლის წინანდელი ატმოსფერო შევიგრძენი. გულსაკლავია, რომ ჩვენს შორის ზოგიერთნი აღარ არიან, — ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, ვახტანგ რეხვიაშვილი და ეროსი მანჯგალაძე. როგორ დააკლდნენ ისინი ტურნირს... ჩემი ღრმა რწმენით, სწორედ მათ ტრადიციებზე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ ნათელ სულზე, აღმოცენდნენ მომდევნო თაობები. მოგეხსენებათ, დღეს თბილისის საავიაციო ქარხნის ფეხბურთელთა სკოლა „შევარდენს“ ვხელმძღვანელობ. დიდად მსიამოვნებს, რომ ჩვენს ქარხანასაც მიუძღვის, ასე თუ ისე, წვლილი ამ ტურნირის ჩატარებაში. საქმე ისაა, რომ სწორედ ჩვენი ქარხნის ენთუზიასტებმა დაამზადეს უსასყიდლოდ, ამასთან ოპერატიულად და ხარისხიანად, მესხის ტურნირისათვის განკუთვნილი ფეხბურთის კარები.

**საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი გივი ნოდია:**

— **ამ** ტურნირის ჩატარება მართლაც შესანიშნავი იდეაა. ეს ხომ ფეხბურთის, კერძოდ ქართული ფეხბურთის, დიდი ზეიმია. ჩვენმა ვეტერანებმა სიამოვნებით გაიხსენეს თავიანთი ახალგაზრდობა, ისინი ხომ ძალზე იშვიათად თამაშობენ თბილისში, აი რესპუბლიკის რაიონებში ხშირად გვიწევს გამოსვლა. ამასწინათ საზღვარგარეთაც ვითამაშეთ — ზაარბრიუკენის საერთაშორისო ტურნირში. მაგრამ, დამეთანხმებით, სულ სხვაა თბილისი, შენი ძველი ნაცნობი მაყურებელი, მეგობრები. ისე რომ, ყველა ვეტერანმა კვლავ სიამოვნებით ჩაიცვა ფეხბურთელის მაისური და, როგორც დარწმუნდით, ჰაერაშერეულმა დინამოელებმა ურიგოდ არ ითამაშეს. ტურნირს კიდევ ერთი მნიშვნელობა აქვს — ახალგაზრდებმა თვალნათლივ იხილეს მოედანზე ცნობილი „გვარები“, დარწმუნდნენ, თუ რარიგად უყვართ გულშემატკივრებს მიხეილ მესხი.

# ჩ ჭელე

— რას შვრები?! — წინასწარ ჩამესმის რედაქტორის ხმა, ამ მასალას რომ შევუტან და სათაურს წაიკითხავს, — კაცი მინისტრის მოადგილეა, შენ კი — „ჩელე“...

კი მაგრამ, რა ვქნა? განა ჩვენ, გულშემატკივრები, რევაზ ჩელებაძეს სხვანაირად ვუწოდებდით?

**● ბატონო რევაზ! — მოკრძალებით მივმართავ მეც, როცა მახსენდება, რომ ის მართლაც „დიდი კაცია“ — სპორტსაზოგადოება „დინამოს“ აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, — ხომ არ გწყინთ „ჩელეს“ რომ გეძახიან?**

— ჩელე ვარ, აბა, პელეს ხომ არ დამიძახებენ!

სპორტის სასახლის ბარში ვსხედვართ. ეს-ესაა, დამთავრდა პირველი შეხვედრა დასავლეთბერლინელ ფეხბურთელებთან, საცაა მეორეც დაიწყება და ჩელებაძე კვლავ გავა მოედანზე. ჯერჯერობით კი იგი მიირთმევს ჩაის, სიამოვნებით აბოლებს სიგარეტს — ამის უფლებას ადრე ვინ მისცემდა? — და მესაუბრება. ბარი უცხოელი ფეხბურთელებით არის სავსე, ვამჩნევ, რომ ყველა გაკვირვებული მიყურებს — ირგვლივ ამდენი ფეხბურთის „ცოცხალი ლეგენდაა“, მე კი სასაუბროდ მათთვის უცნობი „მძიმეწონოსანი“ მამაკაცი შევარჩიე. მათ არ იციან, რომ ძალიან ბევრი ძალიან ბევრს გაიღებდა, რომ ჩემს ადგილას ყოფილიყვნენ — ჩელეს გვერდით.

**● იფიქრებდით, რომ ტრიბუნები ასე აღფრთოვანებული შეგეგებებოდათ? მგონი, ასეთი ოვაციები მწვანე მინდორზეც არ გრგებიათ...**

— არაფერიც! მახსოვს, ისეთი დროც იყო, როცა გულშემატკივრებს ძალიანაც ვუყვარდი. სხვა დროც მახსოვს — მისტვენდნენ, მლანძღავდნენ, მინდვრიდან გაყვანას ითხოვდნენ...

**● გულზე ხელი დაიდეთ — როდის უფრო მართალი იყო გულშემატკივარი?**

— გულშემატკივრები ყოველთვის მართლები არიან. ისინი ნებისმიერ არბიტრზე სამართლიანად სჯიან. მე ვიცი, რომ მაყურებლები ფეხბურთელს მხოლოდ თამაშით კი არა, ადამიანური თვისებებითაც აფასებენ. ცუდ კაცს, ვირტუოზიც რომ იყოს, არასოდეს შეიყვარებენ.

**● იქნებ ამიტომაც უყვარდით?**

— შეიძლება! ყველამ იცის, რომ მე კეთილი ვარ. ეს უფროსობაშიც ხელს მიშლის — სიმკაცრე მაკლია.

**● როგორ ცხოვრობთ ახლა, უფეხბურთოდ?**

— ვცხოვრობ ბათუმში. მყავს ცოლი და ორი ქალიშვილი. მადლობა ღმერთს, დედას უფრო გვანან, თორემ მერე გათხოვება გაუჭირდებოდათ. ახლა 34 წლისა ვარ. 108 კილოგრამს ვიწონი. ფეხბურთს არ ვთამაშობ, ძალიან კი მინდა, მაგრამ დრო აღარ მრჩება. ამ ტურნირისთვის სერიოზულად მოვემზადე — ვივარჯიშე. სხვათა შორის, შვიდი კილოგრამი დავიკელი. ასე რომ, თავისუფალი დრო მეტი რომ მქონდეს, ძალიან მალე აღვიდგენდი ჩემს ძველ ფორმას — ისევ ჩელე ვიქნებოდი.

**ესაუბრა პეპი ბოჭორიშვილი.**

**გუშინ** თბილისის სპორტის სასახლის იატაკის საფარი „მწვანე მოლმა“ შეცვალა. როგორც იქნა თბილისამდე ჩამოაღწია ძვირფასმა ტვირთმა, რომელიც დასავლეთ გერმანიის ფირმა „პოლიგრასმა“ გამოაგზავნა. ეს შესანიშნავი ხელოვნური საფეხბურთო მინდორი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს დახმარებითაა შეძენილი და პირველია ჩვენს რესპუბლიკაში.

მ. მესხის ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტმა, მიუხედავად წამოჭრილი პრობლემებისა, ყველაფერი იღონა, რომ გუშინდელი მატჩებისთვის „მინდვრის“ დაგება მოესწროთ. აქ ორგკომიტეტს დიდი დახმარება გაუწიეს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა, ენთუზიასტებმა და მოწვეულმა სპეციალისტმა, მოსკოველმა ი. ერმაკოვმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპორტულ ბაზებზე — სანიტარული წესრიგი!“

# საქმეს ველით და არა დაპირებებს

სანიტარული წესრიგისათვის ბრძოლა რესპუბლიკაში არ შენელებულა და არც უნდა შენელდეს, რადგან იგი მუდმივი საზრუნავია. საერთო სანიტარული მდგომარეობის მიხედვით კულტურის დონეზეც მსჯელობენ. ასეა მიღებული.

რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თაოსნობით წამოწყებულმა საყოველთაო-სახალხო ლაშქრობამ სანიტარული მოთხოვნების დაცვისათვის უდავოდ სასიკეთო შედეგები მოგვიტანა, მაგრამ ის, რაც გაკეთდა სრულებითაც არ გვაძლევს დამშვიდების საბაბს. მით უმეტეს, რომ ზოგან ამ ღონისძიებას ეპიზოდური ხასიათი ჰქონდა.

საქართველოს სპორტსახკომმა წელს, 30 აგვისტოს მთავრობის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე გამოსცა საგანგებო ბრძანება „რესპუბლიკის სპორტულ ბაზებზე სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“. ბრძანება ყველგან დაიგზავნა. სპორტსახკომმა სპეციალური ჯგუფიც გამოჰყო, რომელიც სისტემატურად ამოწმებს თუ როგორ სრულდება ბრძანების მოთხოვნები. თავის მხრივ სარეიდო შემოწმებებს აწყობს „ლელოს“ რედაქცია.

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ზოგან სანიტარული წესრიგის დასამყარებლად გატარებული ღონისძიებები ეპიზოდური იყო, დავძენდით, რომ არაეფექტურიც. სხვაგვარად რით ავხსნათ ის გარემოება, რომ თბილისის სპორტკომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს ტანვარჯიშული დარბაზი, რომელიც სანაპიროზე მდებარეობს, დღესაც ერთობ არასასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოვებს. ამის შესახებ ბოლო ხანებში რედაქციაში რამდენჯერმე გვაცნობეს, ფაქტები დადასტურდა. დავიწყოთ იმით, რომ მიმდებარე ტერიტორია ჯეროვნად არ სუფთავდება, შენობის შესასვლელის წინ წყალი დგება, რომელშიაც ჭუჭყი იზილება, შიგნით კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა უგულისყურობა და ხელმიშვებულობა. აქვე გვინდა ვთქვათ: როცა ლაპარაკია სანიტარულ წესრიგზე მასში მხოლოდ სისუფთავე არ იგულისხმება. სპორტსახკომის ბრძანება ითვალისწინებს, რომ სპორტული ბაზების ხელმძღვანელებმა ყურადღება მიაქციონ აგრეთვე ნაგებობის კეთილმოწყობას. რა მდგომარეობაა ტანვარჯიშულ დარბაზში ამ მხრივ? ვაჟთა გასახდელში გუშინ სინათლეც არ იყო, იქვე უამრავი გამოუსადეგარი ინვენტარი ყრია, საშხაპეები გაუმართავია, იატაკი, კარებები ჭუჭყიანია, აქაც და სხვაგანაც იატაკზე და კედლებზე ალაგ-ალაგ აყრილია კაფელი, რაც ძალზე არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ქმნის. შენობის მეორე სართულზე მინები ჩამტვრეულია, რამდენიმე ადგილზე ფანჯარა ფანერით „შეუმინავთ“.

ვიცით, იტყვიან რემონტია ჩასატარებელიო. ნაცნობი მიზეზია. რა ნაკლოვანებებზეც მოგახსენეთ, მისი მოწესრიგება არც სამშენებლო ორგანიზაციის გამოყოფას და არც საგანგებო საშენ მასალებს მოითხოვს...

პასუხად ველით არა დაპირებებს, არამედ კონკრეტულ საქმეს.

ქართული პრესა წერდა...

## დოლი

„თბილისის საშემოდგომო სეზონი გაიაცოცხლა და მართლა სეზონის სახე მისცა დიდუბეში გამართულმა დოლმა, სადაც უკვე ექვსი მარულა გაიმართა და სამი კიდევ პერსპექტივაშია. საოცარი სისწრაფით მოხდა ქართული სახელმწიფო საჯინიბოს მოწყობა. უსათუოდ დიდი შრომა გასწიეს საჯინიბოს გამგეებმა ა. წულუკიძემ და სიმონ ფხაკაძემ, და სულ რამდენიმე თვეში მოაწყეს ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებელი დოლი, რომელსაც ყოველ მორთულის დროს აუარებელი ხალხი აწყდება.

საზოგადოდ საქართველოში სპორტის საქმე ეწყობა, და ეს უსათუოდ სასიამოვნო მოვლენაა. კერძოდ, დოლს დიდი მომავალი ექნება, რადგან ეს ახალი მოვლენა არ არის ჩვენთვის, ისტორიულად ეს გამართლებულია და ახლო წარსულშიც ქართველი კავალერისტები ლეგენდებს ქმნიდნენ. ჯერ დოლზე არ არის და რჩევა წმინდა სისხლიან ცხენების, მაგრამ მაინც ბევრათ კეთილშობილ ჯიშის, და სხვადასხვა შერევის მარულებში პირველათ რჩება ნესტორ ლოლუას „ყარა გიორგი“, რომელსაც ყოველთვის ეტოქებიან „ოკა“, „გროზნაია“ და წითური „სადიკი“. მიუხედავად დიდი მონდომებისა ქოკეი მამიკონიანი მაინც ვერ ეღირსა „გროზნაით“ ყარა გეორგის დაჩაგვრას. უკანასკნელმა ამ სეზონში ხუთი ჯილდო მიიღო და გახდა პირველი ფავორიტი“.

გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ. 19 ნოემბერი (№20).
პუბლიკაცია მოამზადა სულიკო ნუცუბიძემ.

### დიდი ინტერესი სიეტლისადმი

**სიეტლის** კეთილი ნების თამაშები (1990 წ. 20 ივლისი-5 აგვისტო) დიდ ინტერესს იწვევს მთელ მსოფლიოში. როგორც ამერიკული პრესა იუწყება, უკვე გაყიდულია სხვადასხვა მატჩზე დასასწრები 5,5 მილიონი დოლარის ღირებულების ბილეთები. ეს აჭარბებს ადრინდელ რეკორდებს (მონრეალი — 1976, ლეიკ-პლესიდი — 1980, პანამერიკული თამაშები — 1987)... საინტერესოა, რომ ზოგიერთ შეჯიბრებაზე (ცურვა, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, ფინალური შეხვედრები კრივში, ძიუდო, მატჩი წყალბურთში აშშ-ისა და საბჭოთა ნაკრებებს შორის) ბილეთები უკვე მთლიანად გაიყიდა.

კალეიდოსკოპი

### ლიუისი ითხოვს დასვენებას

**სეულის** ოლიმპიადის ორგზის ჩემპიონის კარლ ლიუისის წინაშე ასეთი დილემა დადგა: განაგრძოს რბენა თუ მემუარების წერას მიჰყოს ხელი. ოლიმპიური ჩემპიონის მენეჯერის ჯონ დუგლასის განცხადებით, ლიუისმა ჯერჯერობით ეს უკანასკნელი „სამუშაო“ აირჩია. ყოველ შემთხვევაში 1990 წლის მძლეოსნურ სეზონს თავისი ავტობიოგრაფიის წერას მოახმარს, რომელიც, დუგლასის აზრით, დეკემბრის მიწურულს დამთავრდება. სხვათა შორის, ამ ამბით არც ლიუისის მწვრთნელი ტომ ტელიზია შეშფოთებული: „კარლს უფლება აქვს გამოტოვოს 1990 წლის ზამთრის სეზონი, ვინაიდან ზედიზედ 10 წლის მანძილზე მას არ ჰქონია დასვენების საშუალება“.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ამერიკელი სპრინტერი არც აშშ-ს ღია ჩემპიონატში აპირებს გამოსვლას, თუმცა ამ გადაწყვეტილებას სხვა მიზეზი აქვს — უთანხმოება მთელ რიგ საკვანძო საკითხებში ამერიკის მძლეოსნური ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან. შემოდგომას ლიუისი ევროპის კონტინენტზე გამართულ შეჯიბრებებში გაატარებს, განზრახული აქვს, სწორედ აქ შეხვდეს ბენ ჯონსონს, თუკი კანადელს არ გაუგრძელეს დისკვალიფიკაციის ვადა.

ლიუისი მონაწილეობას მიიღებს, აგრეთვე, ნიუ-იორკის ტრადიციულ შეჯიბრებაში და სიეტლის კეთილი ნების თამაშებში.

### ტრაგედია ლხოცზეზე

**როგორც** ცნობილია, მიმდინარე წლის 24 ოქტომბერს დილის 8 საათსა და 30 წუთზე ლხოცზეს მწვერვალის (8511 მეტრი ზღვის დონიდან) მისადგომებთან დაიღუპა სახელგანთქმული პოლონელი ალპინისტი ეჟი კუკუჩკა — იტალიელი რეინჰოლდ მესნერის შემდეგ ერთადერთი მთამსვლელი მსოფლიოში, რომელსაც დაპყრობილი ჰქონდა ყველა თოთხმეტი „რვაათასიანი“ მწვერვალი. ამ ტრაგედიის უშუალო მოწმის რიშარდ პავლოვსკის სიტყვებით მან დაახლოებით 100 მეტრი იფრინა და მერე... გადაიჩეხა უფსკრულში.

კუკუჩკას ექსპედიცია ნეპალში შუა სექტემბერს ჩავიდა და დაიწყო გულმოდგინე სამზადისი. იმ დროს არახელსაყრელი ამინდი იდგა, მაგრამ ხუთი პოლონელი და ორი იტალიელი მთამსვლელისგან შემდგარმა ექსპედიციამ დაიწყო ასვლა. საბაზო ბანაკი გაშლილი იყო 5300 მეტრის სიმაღლეზე. ძლიერი ქარისა და თოვლის გამო ბოლო ეტაპის დაძლევის ცდა ოქტომბრის შუამდე გადაიდო. ბოლოს და ბოლოს კუკუჩკამ და პავლოვსკიმ ასვლის დაწყება გადაწყვიტეს. 22 ოქტომბერს 8150 მეტრის სიმაღლეზე მცირე ხანს შეისვენეს, რათა ბოლო შტურმი განეხორციელებიათ. ორი დღის შემდეგ ისინი გაემართნენ მწვერვალისაკენ...

ამ დროისთვის იტალიელებმა ფულვიო მარიანიმ და ფლორიანო კასტელნუოვომ დატოვეს საბაზო ბანაკი. ისინი შინ დაბრუნებას აპირებდნენ. ტრაგედიის ამბავი კატმანდუში შეიტყვეს, მერე პავლოვსკისაც შეხვდნენ, რომელმაც განაცხადა: „კუკუჩკას გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა მას შემდეგ, რაც ორჯერ თავით შეასკდა კლდეს. დაღუპული მთამსვლელი იპოვეს ორი დღის შემდეგ და . საბაზო ბანაკის გვერდით დაასაფლავეს.

### როგორი იქნება ჯონსონის მომავალი?

**საერთაშორისო** ოლიმპიური კომიტეტის სამედიცინო კომისიის წევრები და მათ შორის პრინცი ალექსანდრე დე მეროდი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ ბენ ჯონსონი განსაკუთრებულ სასჯელს თავისი დანაშაულისთვის არ იმსახურებს. იგი უნდა დაისაჯოს ისე, როგორც ყველა სხვა დოპინგის მიმღები ისჯება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ კანადელ სპრინტერს ორწლიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ შეჯიბრებებში მონაწილეობის უფლება უნდა დაერთოს.

შეგახსენებთ, რომ სეულის ოლიმპიადაზე 100-მეტრიანი დისტანციის მოგების შემდეგ იგი მხილებული იყო დოპინგის მიღებაში. კანადაში ჯონსონი უოქროსმედლოდ დაბრუნდა. ერთხანს იგი უარყოფდა ბრალდებას, საჯაროდ აცხადებდა, რომ არ არის დამნაშავე და გახდა შეთქმულების მსხვერპლი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს გამოტყდა:

— ვტყუოდი, განაცხადა მან ტელევიზიით, მრცხვენია, რომ ასე მოვიქეცი. დამნაშავე ვარ მეგობრების, ოჯახის და ჩემი ბიჭების წინაშე, რომლებსაც ასე სწამდათ ჩემი..

სეულის ოლიმპიადამდე ჯონსონი მძლეოსნურ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის მილიონებს იღებდა. მერე კი... ოლიმპიურ ოქროს მედალთან ერთად დაკარგა სულ ცოტა 10-15 მილიონი დოლარი (ეს თანხა მას ხუთწლიანი სარეკლამო კონტრაქტებით უნდა მიეღო).

ალექსანდრე მეროდის აზრით, „პრესის გამუდმებული იერიშების შემდეგ ჯონსონი ფსიქოლოგიურად განადგურდა. მაგრამ ყველა ადამიანს, და მათ შორის ჯონსონს, აქვს შანსის უფლება. ეს შანსი მას არ უნდა დავუკარგოთ და მივცეთ საშუალება, რომ სპორტსმენი საზოგადოებას დაუბრუნდეს. ეს ჩვენი ვალია“.

თუ ორწლიანი დისკვალიფიკაციის ვადა არ გაუგრძელეს, ჯონსონი 1990 წლის სექტემბრიდან შეჯიბრებებში გამოსვლის უფლებას მიიღებს და მაშინ მას შეეძლება იბრძოლოს ბარსელონის ოლიმპიადის მედლებისთვის.

სხვათა შორის, ჯონსონის ძველი და უმთავრესი მეტოქე ამერიკელი კარლ ლიუისი, რომელსაც საბოლოოდ კანადელის ოქროს მედალი ერგო, მომხრეა იმის, რომ დისკვალიფიცირებულ სპორტსმენს მისცენ „მეორე შანსი“.

მაგრამ იმავე მეროდის განცხადებით, ბევრი ოფიციალური პირი ასე ლოიალურად არ არის განწყობილი. ისინი უსათუოდ მოითხოვენ დისკვალიფიკაციის ვადის გაგრძელებას. ეს ერთხელ კიდევ ცხადი გახდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პუერტო-რიკოს სესიაზე, სადაც ზოგიერთმა მონაწილემ ჯონსონის სამუდამო დისკვალიფიკაცია მოითხოვა, მათ შორის აშშ-ს წარმომადგენელმა ანიტა დეფრანტცმა.

### საფეხბურთო აუქციონი

**ამას** წინათ ხელოვნების ნიმუშებით მოვაჭრე ფირმამ „კრისტიზმა“ გლაზგოში (შოტლანდია) მოაწყო საფეხბურთო აუქციონი. იყიდებოდა ყველაფერი — ინგლისელი და შოტლანდიელი ფეხბურთელების მედლები, თასები, სპორტული ფორმის კომპლექტები, აგრეთვე, სხვადასხვა სახის სუვენირები.

აუქციონზე გამოფენილ ექსპონატთა შორის ყველაზე დიდი ინტერესი გამოიწვია ოქროს მედალმა, რომელიც 1930 წელს ინგლისის თასზე გამარჯვებისთვის მიიღო „არსენალის“ მოთამაშემ ალექს ჯეიმსმა. ეს მედალი გაიყიდა 8 ათას დოლარად.

ფირმის წარმომადგენლის განცხადებით აუქციონმა წარმატებით ჩაიარა და მას, როგორც ჩანს, ამიერიდან რეგულარულად მოაწყობენ.

კალეიდოსკოპი

## ვინ მოიპოვებს „საგზურებს“?

**თბილისის** ჭადრაკის სასახლეში მიმდინარე საქართველოს მოზარდთა პირველობაში საინტერესო შემადგენლობამ მოიყარა თავი. მონაწილეობს ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა პერსპექტიული გოგონა და ჭაბუკი.

შეჯიბრებისადმი ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ 2-2 გამარჯვებული ითამაშებს საკავშირო პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობის უფლება ადრე უკვე მოიპოვეს ქუთაისელმა სოფიკო ნიკოლაძემ, საქართველოს ჩემპიონმა, თბილისელმა ნინო ხურციძემ, 12 წლამდე ასაკის გოგონათა შორის მსოფლიო ჩემპიონმა დიანა დარჩიამ (ბათუმი) და შოთა კუპუხიძემ (ქუთაისი).

გათამაშდა 4 ტური.

გოგონათა შორის 3,5 ქულით შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგა თბილისელი თამარ ფაჩულია. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან სოფიკო ტყეშელაშვილი (ქუთაისი) და ეკა ტაბატაძე (საგარეჯო).

ჭაბუკებში 3,5-3,5 ქულით დაწინაურდნენ მიხეილ კეკელიძე (თბილისი) და რომან სიჭინავა (სენაკი). 3 ქულა აქვს ჩოხატაურელ გივი ქორიძეს.

თამარ ხმიადაშვილი.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

### სპორტული ლატარიების მოყვარულთა საყურადღებოდ!

**სპორტული** ლატარიების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო გაცნობებთ, რომ შექმნილი კლიმატური და საერთო მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა „სპორტლოტოს“ და „სპორტპროგნოზის“ 49-ე ტირაჟის „ბვ“ ნაწილების შემოტანა ხულოდან, ცხინვალიდან და ჯავიდან. სპორტული ლატარიების ჩატარების პირობების თანახმად აღნიშნული რაიონებიდან ამ ტირაჟის ბილეთები მონაწილეობას მიიღებენ შემდგომ 50-ე ტირაჟში.

საქსპორტლოტო

**5 დეკემბერს** საქართველოს სახალხო განათლების სამინისტროს შენობაში (პირველი კორპუსი) ტარდება სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების“ საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პლენუმი.
დასაწყისი 12 საათზე.

## ახალი მოდის დაბადება...

**1989 წლის** „ტურ დე ფრანსის“ ჩემპიონის, ამერიკელი ველოსიპედისტის გრეგ ლემონდის აზრით მისი წარმატების ერთ-ერთი მთავარი თანაავტორია კალიფორნიელი დეივ სკოტი, რომლის კონსტრუქციით დამზადდა იმ ველოსიპედის საჭე, სპორტსმენმა პირველ და ბოლო ეტაპებზე რომ გამოიყენა.

სკოტს აქამდე მხოლოდ ტრიატლონის სამყაროში იცნობდნენ. სწორედ ამ სახეობის წარმომადგენლებისთვის დაამზადა მან უნიკალური ფორმის საჭე და პირველმა თვითონ გამოსცადა. რა ღირსებები აქვს სკოტის გამოგონებას? პირველი და მთავარი ღირსება ის გახლავთ, რომ ასეთი საჭე აეროდინამიკური თვალსაზრისით არის ხელსაყრელი. ლემონდი მას მხოლოდ პროლოგში და რიგ-რიგი სტარტით რბოლის დროს იყენებდა, ვინაიდან ჰაერის წინააღმდეგობას ველოსიპედისტი ყველაზე მეტად ამ დროს გრძნობს.

ცნობილი იტალიელი სპეციალისტის ერნესტო კოლნაგოს აზრით (მისი კონსტრუქციის ველოსიპედს ხმარობდა სახელგანთქმული ედი მერკსი), „ლემონდი ამ ორიგინალური საჭის გარეშეც მოიგებდა „ტურ დე ფრანსს“, ამიტომ მხოლოდ ახალი მოდის დაბადება ვნახეთ და სხვა არაფერი“.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-28, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10531